ამანათ „ხმელეთის“ საზღვარგარეთ გაგზავნის წესი და პროცედურა



სარჩევი

შესავალი ..... 3 გვ.

1. საზღვარგარეთ გასაგზავნი ამანათ „ხმელეთის“ მახასიათებლები და გაგზავნის პირობები .....4 გვ.

2. ამანათის ‘’ხმელეთი’’ ტრანსპორტირების ვადები ქვეყნების მიხედვით..... 7 გვ.

3. აკრძალვები და შეზღუდვები ‘’ხმელეთის’’ ამანათის შიგთავსის მიმართ .... 8 გვ.

4. ამანათის ‘’ხმელეთი’’ შეფუთვის და დამისამართების წესი ..... 11 გვ.

5. მომხმარებლის მომსახურება ..... 15 გვ.

6. ამანათის „ხმელეთი“ აფოსის თანამშრომლის მიერ დამუშავება და პროგრამული რეგისტრაცია ..... 16 გვ.

შესავალი

შპს „აფოს.ჯი'' საქართველოს მოსახლეობას სთავაზობს სახმელეთო გზით ამანათ „ხმელეთის“ გაგზავნას საზღვარგარეთ და მის ჩაბარებას ადრესატისათვის წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი პირობების შესაბამისად.

არსებული პროცედურა აღწერს შპს „აფოს.ჯის“ პარტნიორი აფოსის თანამშრომლების მიერ ამანათ „ხმელეთის“ გასაგზავნად მიღებისა და დამუშავების წესს, მომსახურების პროცედურას, ადგენს ამ პროცესში მონაწილე მხარეებისა და თანამშრომლების ფუნქციებსა და მოვალეობებს.

დოკუმენტი განკუთვნილია ყველა იმ პირისთვის, ვინც უზრუნველყოფს ამანათ „ხმელეთის“ საზღვარგარეთ გაგზავნასთან დაკავშირებული ოპერაციების შესრულებასა და მომხმარებლისთვის კონსულტაციის გაწევას.

1. საზღვარგარეთ გასაგზავნი ამანათ „ხმელეთის“ მახასიათებლები და გაგზავნის პირობები

1.1. საქართველოში საზღვარგარეთ გასაგზავნი გზავნილების მიღებას ახორციელებენ შპს „აფოს.ჯი “ -ს პარტნიორი აფოსები (შემდგომში „აფოსები“).

1.2. შპს „აფოს.ჯის“ პარტნიორი აფოსები საქართველოდან ამანათების „ხმელეთი“ გაგზავნას ახორციელებენ შემდეგი ქვეყნების მიმართულებით:

1) იტალია
2) საფრანგეთი
3) გერმანია
4) ავსტრია
5) ჩეხეთი
6) სლოვაკეთი
7) პოლონეთი

1.3. ამანათების გაგზავნა ქვეყნების მიხედვით ხორციელდება შემდეგი ქალაქების მიმართულებით:



1.4. ამანათ ‘’ხმელეთის’’ წონა არ უნდა აღემატებოდეს **30 კგ-ს**, ხოლო მედიკამენტის გაგზავნის შემთხვევაში **300 გრამს.** ამანათ ‘’ხმელეთის’’ ზომა არ უნდა აჭარბებდეს **100სმX100სმX100სმ-ს.**

1.5. გზავნილების გაცემა დანიშნულების ადგილზე ჩასვლის შემდეგ ხორციელდება აგენტის ოფისიდან.

1.6. **ავსტრიის მიმართულებით გაგზავნილი ამანათ ‘’ხმელეთის’’** ჩაბარების მისამართის დადგენა ხორციელდება შპს ‘’აფოს.ჯის’’ აგენტის წარმომადგენელსა (კურიერს) და ამანათის ადერესატს შორის სატელეფონო საუბრის შედეგად შეთანხმებულ ადგილზე.

აგენტი ოფისის წარმომადგენელი (კურიერი) აუცილებელი წესით ახდენს სატელეფონო კომუნიკაციას ადრესატთან, რომელთანაც აზუსტებს გზავნილის ჩაბარების ადგილსა და დროს და მხოლოდ ამის შემდგომ ახორციელებს ვიზიტს. კურიერის მიერ შეთანხმებულ მისამართზე ვიზიტი ხორციელდება ერთჯერადად. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოხდება გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება, კურიერი აბრუნებს გზავნილს აგენტის ოფისში. ამის შემდგომ, ადრესატს შესაძლებლობა აქვს აგენტის მიერ ამანათ ‘’ხმელეთის’’ მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელოს ვიზიტი აგენტის ოფისში და ჩაიბაროს ამანათი.

1.7. **გერმანიის მიმართულებით გაგზავნილი ამანათ ‘’ხმელეთის’’** ჩაბარების მისამართის დადგენა ხორციელდება შპს ‘’აფოს.ჯის’’ აგენტის წარმომადგენელსა (კურიერს) და ამანათის ადერესატს შორის სატელეფონო საუბრის შედეგად შეთანხმებულ ადგილზე.

კურიერი ახდენს სატელეფონო კომუნიკაციას ადრესატთან და წინასწარ აცნობებს მას გზავნილის გაცემის ადგილის კონკრეტულ მისამართსა და დროს, სადაც თავად უნდა მიაკითხოს ადრესატმა და ჩაიბაროს გზავნილი. კურიერის მიერ შეთანხმებულ მისამართზე ვიზიტი ხორციელდება ერთჯერადად.

იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოხდება გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება, კურიერი აბრუნებს გზავნილს აგენტის ოფისში. ამის შემდგომ, ადრესატს შესაძლებლობა აქვს აგენტის მიერ ამანათ ‘’ხმელეთის’’ მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელოს ვიზიტი აგენტის ოფისში და ჩაიბაროს ამანათი.

1.8. ამანათ „ხმელეთის“ საქართველოს ტერიტორიის დატოვება და საზღვარგარეთის მიმართულებით გაგზავნა ხორციელდება ყოველ **ორშაბათ** დღეს.

1.9. იმისათვის, რომ ამანათი „ხმელეთი“ ორშაბათ დღეს გაიგზავნოს დანიშნულებით, იგი აფოსს უნდა გადაეცეს:

- ქ. თბილისის ტერიტორიაზე მდებარე აფოსს - არაუგვიანეს შაბათი დღის 14:00 საათამდე;
- სხვა დანარჩენი ქალაქის/რეგიონის აფოსს - არაუგვიანეს პარასკევი დღის ბოლოს.

1.10. ამანათ „ხმელეთის“ გაგზავნის ღირებულება გამოითვლება ფაქტიური წონისა და ამავე კატეგორიის გზავნილზე 1კგ.-ისთვის დადგენილი ტარიფის ნამრავლით. 1კგ-მდე წონის ამანათის გაგზავნის შემთხვევაში, გამგზავნი იხდის ფიქსირებულ - 1კგ.-ის საფასურს.

1.11. ამანათ ‘’ხმელეთის’’ გაგზავნის ღირებულების გადახდა (გარდა იტალიისა) ხორციელდება გამგზავნის მიერ.

1.12. ამანათ ‘’ხმელეთის’’ იტალიის (ბოლონია, მილანი, მოდენა, მონტოვა, რეჯიო ემილია) მიმართულებით გაგზავნის შემთხვევაში, გამგზავნს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს გაგზავნის ღირებულების გადახდის ორი პირობა: **‘’იხდის გამგზავნი’’ ან/და ‘’იხდის ადრესატი’’.**

1.13. ამანათ „ხმელეთით“ მედიკამენტების გაგზავნის შემთხვევაში, მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ 1 კგ-ის ტარიფს.

1.14. <u>გერმანიის და ავსტრიის</u> მიმართულიებით გაგზავნის შემთხვევაში, ამანათ ‘’ხმელეთის’’ გაგზავნის ღირებულება (5 კგ-ზე მეტ წონაზე) გამოითვლება ფაქტიური წონისა და ამავე კატეგორიის გზავნილზე 1 კგ-სთვის დადგენილი ტარიფის ნამრავლით. 5 კგ-მდე წონის ამანათის გაგზავნის შემთხვევაში გამგზავნი იხდის ფიქსირებულ - 5 კგ-სთვის დადგენილ ტარიფს.

1.15. ინფორმაციას გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლის შესახებ, გამგზავნი მიიღებს SMS-ს შეტყობინების სახით.

1.16. ადრესატისათვის ჩაუბარებელი ამანათ „ხმელეთის“ უკან გამგზავნისათვის დაბრუნება არ ხორციელდება. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება, ან თუ ადრესატი უარს განაცხადებს ამანათის ჩაბარებაზე, ჩაუბარებელი ამანათი მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, განადგურდება.

2. ამანათ „ხმელეთის“ ტრანსპორტირების ვადები ქვეყნების მიხედვით

2.1. ამანათ „ხმელეთის“ მიმღებ ქვეყანაში ჩასვლის ვადად განისაზღვრება საქართველოს ტერიტორიის დატოვებიდან შემდეგი კალენდარული დღე:

ქვეყანა	ვადა
იტალია	7-8 კალენდარული დღე
საფრანგეთი	10-12 კალენდარული დღე
გერმანია	12-14 კალენდარული დღე
ავსტრია	12-14 კალენდარული დღე
ჩეხეთი	12-14 კალენდარული დღე
სლოვაკეთი	12-14 კალენდარული დღე
პოლონეთი	10-12 კალენდარული დღე

3. აკრძალვები და შეზღუდვები ამანათ „ხმელეთის“ შიგთავსის მიმართ

3.1. დაუშვებელია ისეთი ამანათ „ხმელეთის“ გაგზავნა, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე დოკუმენტითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათ შორის, აკრძალულია ამანათის გაგზავნა თაღლითობის ხელშესაწყობად.

3.2. ამანათ „ხმელეთით“ აკრძალულ გასაგზავნ ნივთებს განეკუთნება:

3.2.1 ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები;

3.2.2 ინერტული ფეთქებადი მოწყობილობა და საბრძოლო მასალა;

3.2.3 რადიაქტიული ნივთიერებები;

3.2.4 ინფექციური ნივთიერებები;

3.2.5 პედოფილიასა და ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული საგნები;

3.2.6 ცოცხალი ცხოველები;

3.2.7 ფულის ნიშნები, ძვირფასი ლითონი, ძვირფასი ქვები და მათი ნაკეთობები;

3.2.8 პირადობის დამადასტურებელი ნებისმიერი დედანი დოკუმენტი (პასპორტი; პირადობის მოწმობა; ბინადრობის მოწმობა; მართვის მოწმობა და სხვა);

3.2.9 თამბაქო და თუთუნი;

3.2.10 ხორცი და ხორცის ნაწარმი (გარდა ამ დოკუმენტით განსაზღვრული 3.3.2 პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტისა);

3.2.11 არაქარხნული წარმოების ნებისმიერი სითხე, რომელშიც დუღილი არ არის დასრულებული ან ის გაზირებულია (მათ შორის: მადუღარი ტკბილი; მაჭარი; ცქრიალა ღვინო; ბადაგი და სხვა);

3.2.12 საგნები, რომლებიც თავიანთი ხასიათით ან შეფუთვით შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს აფოსის თანამშრომლებს ან მესამე პირებს, აბინძურებდეს ან აფუჭებდეს სხვა გზავნილებს, გადამზიდავ ტრანსპორტს ან მესამე პირის საკუთრებას;

3.2.13 ნივთი, თუ ის იგზავნება კომერციული დანიშნულებით;

3.2.14 კონტრაფაქტული და მეკობრული, ასევე სხვისი სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) ან ფალსიფიცირებული ნივთები.



3.3 ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების/ნივთების გაგზავნა შესაძლებელია შემდეგი შეზღუდვებით (თუ დამატებითი აკრძალვა არ მოქმედებს კონკრეტულ ქვეყანასთან მიმართებაში):

3.3.1 თაფლი - არაუმეტეს 3კგ-სა;

3.3.2 ტექნოლოგიური დამუშავების შედეგად მიღებული შებოლილი, დამარილებული ან გამხმარი ხორცი - არაუმეტეს 5 კგ-ისა;

3.3.3 ნებისმიერი სახის ყველი - არაუმეტეს 5 კგ-სა (მოთავსებული ჰერმეტულად, დახურულ პლასტმასის კონტეინერში, სითხის გარეშე);

3.3.4 ალკოჰოლური სასმელი:

- ❖ <u>ქარხნული წარმოების</u> - არაუმეტეს 4 ბოთლისა, რომლის საერთო მოცულობამ არ უნდა გადააჭარბოს 10 ლიტრს.
- ❖ <u>არაქარხნული წარმოების</u> - არაუმეტეს 3 ლიტრისა, რომელიც მოთავსებული უნდა იყოს პლასტმასის ბოთლში.

➢ ღვინო და/ან ლუდი ერთობლივად - არაუმეტეს 10 ლიტრისა;

➢ ნებისმიერი სხვა სახეობის ალკოჰოლური სასმელი (გარდა 3.2.11 პუნქტით დადგენილი გასაგზავნად აკრძალული სასმელისა) - არაუმეტეს 5 ლიტრისა.

3.3.5 ერთგვაროვანი სახეობის ახალი/უხმარი ნივთი, არაუმეტეს 2 ერთეულისა (მაგ: 3 ცალი ახალი ჩანთა; 4 ცალი ახალი ბლუზი და ა.შ.).

3.3.6 დოკუმენტის (გარდა ვინაობის დამადასტურებელი ნებისმიერი დედანი დოკუმენტისა) გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ სხვა ნივთთან/ პროდუქტთან ერთად.

3.3.7 მედიკამენტები (გარდა ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტებისა) - მხოლოდ ქარხნული შეფუთვით და არაუმეტეს 300 გრამისა. ამასთან:

(ა) ერთი სახეობის აბები - არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათ) ფირფიტას;

(ბ) სხვა ტიპის (მათ შორის, სითხის შემცველი) მედიკამენტები - არ უნდა აღემატებოდეს 300 გრამს.



შენიშვნა:

მედიკამენტების გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელ ამანათად. მედიკამენტთან ერთად სხვა საქონლის/პროდუქტის გაგზავნა დაუშვებელია.

3.4 ნებისმიერი ქვეყანა უფლებამოსილია წინამდებარე დოკუმენტში განსაზღვრული აკრძალვებისა და შეზღუდვების გარდა, საკუთარ ქვეყანაში შემავალი ამანათ

„ხმელეთის“ „შიგთავსის მიმართ დაადგინოს დამატებითი აკრძალვები და შეზღუდვები. შესაბამისად, კონკრეტულ ქვეყანაში ‘’ხმელეთის’’ ამანათის გაგზავნისას წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ აკრძალვებთან და შეზღუდვებთან ერთად, ასევე მოქმედებს შესაბამისი ქვეყნის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

3.5 თუ ამანათ „ხმელეთის“ შიგთავსის მიმართ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია დამატებითი დოკუმენტის (ნებართვის) წარდგენის ვალდებულება, ასეთი გზავნილის გაგზავნა განხორციელდება გამგზავნის მიერ მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

3.6 შპს „აფოს.ჯი’’ და მათ შორის პარტნიორი აფოსი უფლებამოსილია უარი თქვას ამანათ „ხმელეთის“გაგზავნაზე, თუ მიიჩნევს, რომ ის შეიცავს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ აკრძალულ შიგთავსს, ან იგზავნება ამავე დოკუმენტით დადგენილი შეზღუდვების გაუთვალისწინებლად.

3.7 ამანათ „ხმელათის“ დანიშნულების ქვეყანაში გაგზავნამდე გადის უსაფრთხოებისა და საბაჟო კონტროლს. თუ აღნიშნული პროცედურის გავლისას მასში აღმოჩენილი იქნება დოკუმენტი/ნივთი, რომლის გაგზავნაც აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობით, ან მისი გადაზიდვა შესაძლოა საფრთხის შემქმნელი იყოს სატრანსპორტო საშუალებისთვის, ასეთი ამანათი დაექვემდებარება ამოღებას და/ან გამგზავნისათვის დაბრუნებას.

4. ამანათ„ხმელეთის“ შეფუთვისა და დამისამართების წესი

4.1. ამანათ „ხმელეთის“ შეფუთვაზე პასუხისმგებელია გამგზავნი.

4.2. ამანათ „ხმელეთის“ გამგზავნი და მიმღები შესაძლოა იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.

4.3. გზავნილი უნდა შეიფუთოს სათანადოდ, იმგვარად რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს და ასევე, მისმა შეფუთვამ არ უნდა დააზიანოს სხვა გზავნილი.

4.4. გზავნილი უნდა შეიფუთოს იმგვარად, რომ შეფუთვის ზედაპირი იძლეოდეს მასზე მისამართის ან ტრანსპორტირებისთვის საჭირო სხვა იარლიყების/შტამპების დაკვრის/დატანის საშუალებას.

4.5. გზავნილის შესაფუთად რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას ხის, ფანერის, პოლიმერული, პენოპლასტის - მყარი ყუთები;

4.6. გამგზავნის მიერ გზავნილის შეფუთვა უნდა განხორციელდეს მისი წონის, ფორმის და შიგთავსის მასალისა და ხასიათის (თხევადი; მსხვრევადი; მყარი და ა.შ.) მიხედვით, ასევე გზავნილის ტრანსპორტირების ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

4.7. გზავნილი უნდა იყოს შეფუთული იმაზე გათვლით, რომ გაუძლოს:

- დიდ მანძილზე ტრანსპორტირებას;
- მრავალჯერად გადატვირთვას ან დამუშავებას, დახარისხებას;
- კლიმატის, ტემპერატურის და წნევის ცვალებადობას;
- ფიზიკურ ზემოქმედებას, ზეწოლას, ვიბრაციას, რყევას;

4.8. გზავნილის სათანადოდ შეფუთულად ითვლება მაშინ, თუ იგი 80 კგ-ის ზეწოლისა და/ან 80 სმ სიმაღლიდან მყარ ზედაპირზე თავისუფალი ვარდნის შემდეგ დაუზიანებელი რჩება.

4.9.მეორადი შესაფუთი მასალის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე სათანადოდ წაშლილია ყველა ძველი მაიდენტიფიცირებელი ნომერი, მისამართი თუ სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს აფოსის თანამშრომელი.

4.10. გამგზავნის მიერ შესაფუთი მასალის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს გზავნილის შიგთავსის სახეობა/თვისებები, მისი წონა და ფორმა.

4.11. შესაფუთმა მასალამ და შიგთავსის სწორად შეფუთვამ უნდა უზრუნველყოს მისი დაცვა და მთლიანობის შენარჩუნება ტრანსპორტირებისას (მაგ. ყუთში სიცარიელის დატოვების შემთხვევაში, ის შესაძლოა დაიპრესოს/დაიჩუტოს, ხოლო ზედმეტად სავსე ყუთი - პირიქით, შინაგანი ზემოქმედების შედეგად გასკდეს).

4.12. თუ გზავნილში რამოდენიმე ნივთია მოთავსებული, აღნიშნული ნივთები უნდა შეიფუთოს ცალკ-ცალკე და ამის შემდეგ მოხდეს მათი მყარად განთავსება გასაგზავნ შეფუთვაში.

4.13. მნიშვნელოვანია, რომ გზავნილის რყევის შემთხვევაში, მასში მოთავსებული ნივთები არ მოძრაობდეს. შიგთავსის მოძრაობის შესაზღუდად, გზავნილის შიგნით რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას შემდეგი შემავსებელი მასალები :

- მუყაო;
- გაზეთი;
- ჰაერ-ბუშტოვანი ცელოფანი;
- პოროლონის ღრუბელი;
- პენოპლასტი;
- კრაფტის ქაღალდი;



4.14. გზავნილი ყველა მხრიდან მყარად უნდა იყოს დახურული, რათა გამოირიცხოს ტრანსპორტირებისა და დამუშავების პროცესში გზავნილიდან ნივთის გადმოვარდნა.

4.15. გამგზავნმა უნდა დაიცვას შეფუთვის შემდეგი წესები:

- ყუთის გამოყენებისას, გზავნილის დალუქვა უნდა მოხდეს, მინ. 5 სმ-იანი თვითწებადი ლენტის, მთელი გზავნილის ირგვლივ, არანაკლებ სამჯერადი შემოტარებით.
- **სითხის გაგზავნის შემთხვევაში, იგი** უნდა მოთავსდეს ჰერმეტულად დახურულ კონტეინერში/პლასტმასის ბოთლში, რომელიც უნდა მოთავსდეს მყარ ყუთში, ყუთი ამოვსებული უნდა იყოს შესაბამისი დამცავი მასალით რომელიც კონტეინერის/პლასტმასის ბოთლის დაზიანების შემთხვევაში მთლიანად შეიწოვს სითხეს.
- **ცხიმის შემცველი ნივთიერებები, რომლებიც ადვილად არ გადაიქცევა სითხედ,** როგორიცაა საცხები, ნახევრად თხევადი საპონი და სხვა, პირველადი შესაფუთი მასალით (ყუთი, ნაჭრის ტომარა, პლასტმასის კონტეინერი და სხვ.) უნდა მოთავსდეს მყარ ყუთში იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული შიგთავსის გაჟონვა.
- **მშრალი საღებავი ფხვნილები, როგორიცაა მეთილენის ლურჯი და სხვა,** დაიშვება მხოლოდ ჰერმეტულად დახურულ ლითონის ყუთებში, რომლებიც თავის მხრივ განთავსებული უნდა იქნას შესაბამისი შემწოვი და დამცავი მასალით ამოვსებულ მყარ ყუთებში.
- **მშრალი არასაღებავი ფხვნილები** უნდა განთავსდეს მყარ კონტეინერებში (ყუთი, ტომარა), რომლებიც თავის მხრივ განთავსდება მყარ ყუთებში.

- **მინისგან დამზადებული ან სხვა მსხვრევადი/მტვრევადი ნივთები** უნდა შეიფუთოს ჰაერ-ბუშტოვანი ცელოფნით, ქსოვილით ან სხვა მსგავსი შესაფუთი მასალით და მოთავსდეს მყარ ყუთში, რომელიც ამოვსებული იქნება შესაბამისი დამცავი მასალით, რათა ტრანსპორტირების პროცესში თავიდან იქნას აცილებული ნივთსა და ყუთის კედლებს შორის ხახუნი.
- **წვეტიანი ან ბასრი ნივთები** უნდა განთავსდეს მყარ ყუთში, ხოლო თავად ყუთში - წვეტიანი და ბასრი ნაწილები უნდა შეიფუთოს ისეთი მასალით (ჰაერ-ბუშტოვანი ცელოფანი, თვითწებადი ლენტი და ა.შ.), რომელიც უზრუნველყოფს როგორც თავად ამ ნივთის უსაფრთხოებას ტრანსპორტირების დროს, ასევე ყუთის შესაძლო დაზიანების შემთხვევაში - დაიცავს სხვა გზავნილებს დაზიანებისგან.



4.16. ამანათ „ხმელეთის“ მაქსიმალური ზომა არ უნდა აღემატებოდეს 1მ³-ს (1მX1მX1მ).
4.17. გამგზავნის მიერ ამანათ „ხმელეთის“ შეფუთვაზე უნდა განხორციელდეს დამისამართება.
4.18. მომხმარებელმა ამანათის გაგზავნისას სავალდებულო წესით უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე სრულად და ზუსტად უნდა მიაწოდოს აფოსის თანამშრომელს შემდეგი სავალდებულო ინფორმაცია:

4.18.1. **გამგზავნის მონაცემები:**

- გამგზავნის პირადი ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში - ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომერი)
- გამგზავნის სახელი და გვარი (იურიდიული პირის შემთხვევაში - ორგანიზაციის დასახელება)
- გამგზავნის მისამართი: ქვეყანა და ქალაქი
- გამგზავნის მობილურის ნომერი

4.18.2. **ადრესატის მონაცემები:**

- ადრესატის სახელი და გვარი (იურიდიული პირის შემთხვევაში - ორგანიზაციის დასახელება);
- ადრესატის მისამართი: ქვეყანა, ქალაქი, მიმღები ოფისი;
- მობილური ტელეფონის ნომერი.

5. პასუხისმგებლობის ფარგლები და ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობა

5. გამგზავნის პასუხისმგებლობა

5.1. გამგზავნი პასუხისმგებელია:

5.1.1. ამანათ „ხმელეთის“ გაგზავნისას აგენტისთვის და შპს „აფოს.ჯისთვის“ მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე, მათ შორის, იმ შედეგზე, რომელიც მოჰყვება გზავნილის გაგზავნას დეკლარირების გარეშე, ან არასწორი/არასრულყოფილი დეკლარირებით;

5.1.2. იმ ზიანზე, რომელიც მიადგება შპს „აფოს.ჯის“, მათ შორის მის თანამშრომელს, ქონებას ან მესამე პირების ამანათების, აკრძალული ნივთის გაგზავნის ან ამანათ „ხმელეთის“ არასათანადოდ შეფუთვის გამო.

5.2. გამგზავნის პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება იმ შემთხვევაშიც, თუ შპს „აფოს.ჯი“ გასაგზავნად მიიღებს ამანათ „ხმელეთს“, რომელიც შეიცავს აკრძალულ ნივთს, ან თუ გზავნილი შეფუთულია დადგენილი წესების დარღვევით, ან თუ გზავნილი არ არის დეკლარირებული ან ის დადეკლარირებულია არასწორად/არასრულად.

6. შპს „აფოს.ჯის“ პასუხისმგებლობა

6.1. შპს „აფოს.ჯის“ პასუხისმგებლობა მომხმარებლის წინაშე შემოიფარგლება მხოლოდ მისი ბრალით გამოწვეული პირდაპირი მატერიალური ზიანის ანაზღაურებით, წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში. შპს „აფოს.ჯის“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა მომხმარებლისთვის მიყენებული არაპირდაპირი ზიანის, მათ შორის და არა მხოლოდ, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაზე.

6.2. შპს „აფოს.ჯი“ მატერიალურ პასუხისმგებლობას იღებს იმ ზიანზე, რომელიც წარმოიშვება ამანათ „ხმელეთის“:
6.2.1. დაკარგვით. ამასთან, ამანათი „ხმელეთი“ ითვლება დაკარგულად, თუ აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია შპს „აფოს.ჯის“ აგენტის მიერ, ან თუ ამანათ „ხმელეთის“ შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა მისი გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
6.2.2. გარეგანი დაზიანებით ან დაკარგვით, თუ ეს დაზიანება იწვევს ამანათ „ხმელეთის“ შიგთავსის მთლიან ან ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას. ამასთან, პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარეგანი დაზიანების ან დაკარგვის ფაქტი აღმოჩენილია ამანათ „ხმელეთის“ ადრესატისთვის ჩაბარების მომენტში, შპს „აფოს.ჯის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამის აქტზე მხარეთა ხელმოწერით.
6.2.3. ამანათ „ხმელეთის“ ადრესატისთვის ჩაბარების ვადის დარღვევით. აღნიშნული ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება საბაჟო ორგანოს ან სხვა სახელმწიფო უწყების გადაწყვეტილებით ამანათ „ხმელეთის“ შეჩერების ვადა. ამასთან, პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩაბარების ვადის დარღვევით მიყენებული ზიანი აღმოჩენილია ამანათ „ხმელეთის“ მიმღებისთვის ჩაბარების მომენტში (მალფუჭებადი ნივთის შემთხვევაში) შპს „აფოს.ჯის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამის აქტზე მხარეთა ხელმოწერით ან იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება შეფასება/დასკვნა, რომლითაც დადასტურდება ამანათ „ხმელეთის“ ვადის დარღვევით ჩაბარების გამო მომხმარებლისთვის ზიანის მიყენების ფაქტი.
6.3. შპს „აფოს.ჯის“ პასუხისმგებლობა გამოირიცხება:
6.3.1. ამანათ „ხმელეთის“ ადრესატისთვის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, რომლის მიზეზიც გამგზავნისგან მიღებული არასწორი (არასრულყოფილი) ინფორმაციაა;
6.3.2. დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მათ შორის, როცა შპს „აფოს.ჯის“ არ შეუძლია განახორციელოს გზავნილების აღრიცხვა, სამსახურეობრივი დოკუმენტების დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურების გამო;
6.3.3. თუ ამანათ „ხმელეთის“ დაკარგვა, მისი შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანება ან წონის სხვაობა გამოწვეულია გამგზავნის ბრალით (მათ შორის, არასათანადო შეფუთვით) ან შიგთავსის თვისებებით;
6.3.4. იმ ამანათების მიმართ, რომელიც შეიცავს გასაგზავნად აკრძალულ საგნებს;
6.3.5. იმ ამანათების მიმართ, რომლის გაგზავნაც დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებული პირობით, ასეთი პირობის დაუცველობის შემთხვევაში;
6.3.6. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო ორგანოების მიერ ამანათ „ხმელეთის“ დაკავების, განადგურების ან მისი ჩამორთმევის შემთხვევაში;
6.3.7. თუ ამანათ „ხმელეთის“ დაზღვევის შემთხვევაში, დაზღვევა განხორციელებულია იმაზე მეტ თანხად, ვიდრე გზავნილის რეალური ღირებულებაა

(ამ შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ გზავნილის რეალური ღირებულება);
6.3.8. თუ ანაზღაურების მიღების მიზნით გამგზავნი არაკეთილსინდისიერად მოქმედებს;
6.3.9. თუ მომხმარებელმა გზავნილის მდგომარეობის შესახებ პრეტენზია დააფიქსირა მისი ჩაბარებისა და შპს "აფოს.ჯის" ტერიტორიის დატოვების შემდეგ;
6.3.10. თუ მომხმარებელმა რეკლამაციით არ მიმართა შპს „აფოს.ჯის" ამანათ „ხმელეთის" გაგზავნის დღის მომდევნო დღიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში.
6.3.11. ერთი ქვეყნის (საქართველოს, ტრანზიტული და დანიშნული ქვეყნების) საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული გზავნილების მიმართ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

7. შპს „აფოს.ჯის" პასუხისმგებლობის ფარგლები

7.1. შპს „აფოს.ჯი" აანაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:
7.1.1. ამანათ „ხმელეთის" დაკარგვის, ან ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის მთლიანად დაზიანებას ან დაკარგვას - გაგზავნის ღირებულებას დამატებული შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 8,33 სსუ (SDR) - თითოეული მეტობისკენ დამრგვალებული კილოგრამისთვის;
7.1.2. ამანათ „ხმელეთის" ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას - დაზიანებული/დაკარგული ნივთის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 8,33 სსუ (SDR) - თითოეული მეტობისკენ დამრგვალებული კილოგრამისთვის;
7.1.3. ამანათ „ხმელეთის" ადრესატისთვის ჩაბარების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შპს „აფოს.ჯი" ანაზღაურებს შიგთავსის დეკლარირებულ ღირებულებას, მაგრამ არაუმეტეს 8,33 სსუ (SDR) - თითოეული მეტობისკენ დამრგვალებული კილოგრამისთვის.
7.1.4. დაზღვეული ამანათ „ხმელეთის" დაკარგვის, ან ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის მთლიანად დაზიანებას ან დაკარგვას გაგზავნის ღირებულებას დამატებული ამანათ „ხმელეთის" დაზღვეული ღირებულება;
7.1.5. დაზღვეული ამანათ „ხმელეთის" ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას - დაზიანებული/დაკარგული ნივთის დაზღვეული ღირებულებას.

8. რეკლამაცია

მომხმარებელს, შპს „აფოს.ჯი"-სთვის რეკლამაციით მიმართვის უფლება აქვს ამანათ „ხმელეთის" გაგზავნის დღის მომდევნო დღიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში. შპს „აფოს,ჯი" რეკლამაციის განხილვას და ზიანის ანაზღაურების თაობაზე

გადაწყვეტილების მიღებას ახორციელებს ასეთი რეკლამაციის მიღებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში, კომპანიაში დადგენილი წესის შესაბამისად.